დანართი №2

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების შესახებ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა

(შპს ბიზნესისა და ტექნოლოგიების აკადემია - პროგრამა „ფარმაცია (საფთიაქო)“

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე:

ირმა ქორთუა

წევრები:

ინგა ბაქრაძე

Irma Kortua 19001010979
Digitally signed by Irma Kortua
Date: 2025.07.31 15:51:38

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

-

ნაწილი I. შესავალი

I. ინფორმაცია დაწესებულების შესახებ

დაწესებულების სახელწოდება: --------ბიზნესისა და ტექნოლოგიების აკადემია ----------

ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა: ----------შპს----------

საიდენტიფიკაციო კოდი: ----------406056173 ----------

სახე:

☐ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება

☐ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება

■ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულება / კოლეჯი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

II. ვიზიტის საერთო მიმოხილვა

მოკლედ აღწერეთ ვიზიტი.

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის მოვალეობის შემსრულებლის მიერ 2024 წლის 5 ივლისს გამოცემული MES4250000816683 ბრძანების თანახმად შექმნილ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტების ჯგუფს დაევალა შპს ბიზნესისა და ტექნოლოგიების აკადემიაში ქ თბილისში, გ.ქუთათელაძის 1, გასასვლელი N10, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „ფარმაცია"(სააფთიაქო) პროგრამის დამატებასთან დაკავშირებული თანდართული დოკუმენტაციის შესწავლა და ადგილზე ვიზიტი საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის დებულების 31-ე მუხლის, მე-2 პუნქტის ბ) ქვეპუნქტით განსაზღვრული კომპონენტის შესრულების შესაბამისობის შემოწმება.

ექსპერტების ჯგუფმა შეისწავლა დაწესებულების მიერ განაცხადით წარმოდგენილი დოკუმენტაცია და განხორციელდა ვიზიტი შპს ბიზნესისა და ტექნოლოგიების აკადემიაში 17 ივლისს წინასწარ შეთანხმებული ვიზიტის დღის წესრიგის შესაბამისად

ექსპერტები გაესაუბრნენ დაწესებულების წარმომადგენლებს, მათ შორის აკადემიის რექტორს, პროგრამის ხელმძღვანელს, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსს, პროფესიული განათლების პედაგოგებს, პარტნიორი კომპანიის-პსპ წარმომადგენელს. ასევე ვიზუალურად შემოწმდა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისთვის საჭირო აღჭურვილობები, მატერიალური რესურსი და ბიბლიოთეკაში სასწავლო რესურსები. ასევე ექსპერტები ადგილზე გაეცნენ დამატებით დოკუმენტაციებს, რომელიც ვიზიტამდე არ იყო წარმოდგენილი.

ვიზიტის დასასრულს ექსპერტებმა დაწესებულების წარმომადგენლებს გააცნეს წარმოების ფარგლებში იდენტიფიცირებული მიგნებები და შეაჯამეს ვიზიტი.

III. საუკეთესო გამოცდილების საერთო მიმოხილვა

გთხოვთ, მოიყვანოთ საუკეთესო გამოცდილების მაგალითი(ებ)ი, ასეთის არსებობის შემთხვევაში.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ნაწილი II. სტანდარტთან შესაბამისობა და რეკომენდაციები

I. პროგრამის ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის ცხრილი

სტანდარტი/კომპონენტი	საგანმანათლებლო დაწესებულების შეფასება *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*	ექსპერტთა ჯგუფის შეფასება *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
2) საგანმანათლებლო პროგრამები	☐ შეესაბამება ■ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
2.1) საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვა და შემუშავება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
2.2) საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების რესურსი	☐ შეესაბამება ■ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
2.3) საგანმანათლებლო პროგრამების შეფასება და განვითარება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
2.4) სასწავლო პროცესის ორგანიზება და პროფესიულ სტუდენტთა შეფასება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: პ. ზაქრეიძ

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

-

II. გამოვლენილი ხარვეზების შეჯამება

*გთხოვთ, ასახოთ **ყველა ხარვეზი** (სტანდარტის შეუსაბამობა), რომელიც გამოვლინდა ვიზიტის პერიოდში, სტანდარტის ინდიკატორის მითითებით.*

ხარვეზი არ დაფიქსირებულა

III. სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაციების შეჯამება

*გთხოვთ, ასახოთ **ყველა ის რეკომენდაცია,** რომელიც დაწესებულებას მიეცა II სტანდარტთან შესაბამისობის უზრუნველსაყოფად, სტანდარტის ინდიკატორის მითითებით.*

რეკომენდაცია არ გაცემულა

IV. განმავითარებელი რეკომენდაციების შეჯამება

*გთხოვთ, ასახოთ **ყველა ის რეკომენდაცია,** რომელიც დაწესებულებას მიეცა II სტანდარტთან მიმართებით, განსავითარებლად და პროცესების უკეთ წარმართვის უზრუნველსაყოფად, შესაძლებლობის შემთხვევაში სტანდარტის ინდიკატორის მითითებით.*

V. ინფორმაცია ექსპერტთა ჯგუფის მიერ არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების ან არ გაზიარების თაობაზე

გთხოვთ, დეტალურად ასახოთ ინფორმაცია ექსპერტთა ჯგუფის მიერ არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების ან არ გაზიარების თაობაზე.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ნაწილი III. ინფორმაცია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

I. ზოგადი ინფორმაცია

პროგრამის სახელწოდება	ფარმაცია (სააფთიაქო)
პროფესიული განათლების დონე	V
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	უმაღლესი პროფესიული კვალიფიკაცია ფარმაციაში / Higher Vocational Qualification in Pharmacy.
სწავლის დეტალური სფეროს კოდი	0916
პროგრამის დამტკიცების აქტის რეკვიზიტები	21.05.2025 წლის რექტორის N2/67 ბრძანება
პროგრამის განხორციელების ენა	ქართული
პროგრამის განხორციელების მისამართი/მისამართები	ქ თბილისი; გ.ქუთათელაძის 1, გასასვლელი N10
პროგრამის განხორციელების ფორმა (რეალურ სამუშაო გარემოში/იმიტირებულ სამუშაო გარემოში)	რეალურ სამუშაო გარემოში
რეალურ სამუშაო გარემოში სწავლების ფორმა (კოოპერაციული/დუალური)	კოოპერაციული
პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა სწავლების ფორმის მიხედვით	150 კოოპერაციული
მოთხოვნილი სტუდენტთა ზღვრული რაოდენობიდან, პროფესიული სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა იმ სასწავლო გეგმაზე, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს სწავლების ფორმის მიხედვით *(არსებობის შემთხვევაში)*	
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	120
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	150

II. ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის შეფასება პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის შესახებ

ექსპერტთა ჯგუფი ეთანხმება ☒
ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება ☐

ნაწილი IV. პროფესიული საგანმანთლებლო პროგრამის ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება

2. საგანმანათლებლო პროგრამები

2.1 საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვა და შემუშავება

2.1.1 პროგრამა შემუშავებულია პსდ-ში დანერგილი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის და შემუშავების მეთოდოლოგიის შესაბამისად

1. პსდ-ს გადაწყვეტილება საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შესახებ ეფუძნება შესაბამის დასაბუთებას და შეესაბამება პსდ-ს მისიას და სტრატეგიული განვითარების გეგმას;
2. საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები უზრუნველყოფს პროგრამაზე ისეთ პირთა დაშვებას, რომელთა წინარე ცოდნა, უნარები ან/და გამოცდილება უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელების ვადაში პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას;
3. პსდ საგანმანათლებლო პროგრამისთვის პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ ოდენობას განსაზღვრავს შესაბამისი მეთოდოლოგიის მიხედვით;
4. საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის მიერ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას;
5. საგანმანათლებლო პროგრამის არჩევითი მოდულები, მათი არსებობის შემთხვევაში, ლოგიკურ კავშირშია მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან ან/და პროფესიული სტუდენტის მომავალ საქმიანობასთან;
6. საგანმანათლებლო პროგრამა დამტკიცებულია დაწესებულების უფლებამოსილი პირის/ორგანოს მიერ;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: პ. ზაქრაძ
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

-

7. პროგრამის სახელწოდება შეესაბამება პროგრამის შინაარსს/პროგრამით გათვალისწინებულ მისაღწევ სწავლის შედეგებს და არ არის შეცდომაში შემყვანი;
8. პსდ-ს საგანმანათლებლო პროგრამა შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებასთან დაკავშირებულ, კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს.

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

2.1.1.1 **პსდ-ს გადაწყვეტილება საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შესახებ ეფუძნება შესაბამის დასაბუთებას და შეესაბამება პსდ-ს მისიას და სტრატეგიული განვითარების გეგმას;**

დაწესებულებამ წარმოადგინა პროგრამის დამატების ''მიზანშეწონილობის არგუმენტირების ცხრილი", რომლის ფარგლებში არგუმენტირებულად, დეტალურად წარმოადგინა პირველადი და მეორადი მოკვლევის მასალები სათანადო წყაროების მითითებით: საერთაშორისო და ადგილობრივ ბაზარზე მოთხოვნის ანალიზი, პოტენციული დამსაქმებლის, პსპ-სგან მიღებული უკუკავშირი, დასაქმების პლატფორმების ანალიზი.

„საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, განხორციელებისა და შეფასების მეთოდოლოგია" - დამტკიცებული შპს ბიზნესისა და ტექნოლოგიების აკადემიის რექტორის 31.01.2022 წლის N2/13 ბრძანებით, განსაზღვრულია, რომ „საგანმანათლებლო პროგრამები უნდა შეესაბამებოდეს კოლეჯის მისიას, სტრატეგიულ გეგმას და მისი შემუშავებისა და განხორციელების გადაწყვეტილება შესაძლოა ეფუძნებოდეს როგორც პირველად წყაროებს ასევე მეორად წყაროებს". აღნიშნული დოკუმენტი ასევე განსაზღვრავს პროგრამის დამატების შესახებ ინიციატივის წარდგენის და დამტკიცების პროცედურებს, პროგრამის შემუშავებაზე პასუხისმგებელ პირებს და მათ ფუნქციებს, პროგრამაში ცვლილებების შეტანის, გაუქმების და პროგრამის განვითარების მექანიზმებს.

დაწესებულებამ ასევე ჩაატარა მიზნობრივი კვლევა გლდანი-ნაძლადევის რაიონის 38 სააფთიაქო ქსელში კვალიფიციური ფარმაცევტის მოთხოვნის შესასწავლად. კვლევამ დაადასტურა მაღალი მოთხოვნა ფარმაცევტის პროფესიაზე.

პროგრამის განხორციელება შესაბამისობაშია კოლეჯის მისიასთან, მის პროფილთან და სტრატეგიულ მიზნებთან; კოლეჯის სტრატეგიული განვითარების გეგმის პირველ სტრატეგიულ მიზანის (ინსტიტუციური განვითარება) პირველ ამოცანას წარმოადგენს- საგანმანათლებლო მომსახურების განვითარება, რომლისთვისაც შრომის ბაზრის ანალიზის საფუძველზე კოლეჯმა ყოველწლიურად უნდა გააფართოვოს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების სპექტრი (პირველი შესრულების ინდიკატორი). როგორც მისიიდან და სტრატეგიიდან იკვეთება, დაწესებულება მრავალპროფილურია და მუდმივად ზრუნავს დაიმატოს ისეთი პროგრამების, რომლებიც დეფიციტურია შრომის ბაზარზე და შესთავაზოს მას კვალიფიციური კადრები.

დასტურდება, რომ ინდიკატორის 2.1.1.1 მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

2.1.1.2 საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები უზრუნველყოფს პროგრამაზე ისეთ პირთა დაშვებას, რომელთა წინარე ცოდნა, უნარები ან/და გამოცდილება უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელების ვადაში პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას;

კოლეჯს შემუშავებული აქვს კოლეჯის „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი", დამტკიცებული რექტორის N2/13 ბრძანებით, (31.01.2022 წ), რომელიც სრულ შესაბამისობაშია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2021 წლის 2 ივლისის 42/ნ ბრძანებით დამტკიცებულ დოკუმენტთან. „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის დანართი #1 „პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის წესი და პირობები" დეტალურადაა განმარტებული პროგრამაზე დაშვებასთან დაკავშირებული პროცედურები. პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაშვების წინაპირობაა სრული ზოგადი განათლება და შიდა შერჩევა მოტივაციური გასაუბრებით. კოლეჯს შემუშავებული აქვს სამოტივაციო გამოკითხვის ფორმა.

დასტურდება, რომ ინდიკატორის 2.1.1.2 მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

2.1.1.3.**პსდ საგანმანათლებლო პროგრამისთვის პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ ოდენობას განსაზღვრავს შესაბამისი მეთოდოლოგიის მიხედვით;**

დაწესებულებამ წარმოადგინა „საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, განხორციელებისა და შეფასების მეთოდოლოგია“, დანართი N1 დამტკიცებული აკადემიის რექტორის 31.01.2022 წლის N2/13 ბრძანებით. დოკუმენტში აღწერილია პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგია.

პროგრამაზე სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გამოანგარიშება ხორციელდება: 1. მატერიალური საშუალებების (სასწავლო გარემო, ტექნიკური საშუალებები, ინფრასტრუქტურა), 2. ადამიანურ რესურსებზე (სასწავლო პროცესში ჩართული კვალიფიციური განმახორციელებელი პირებისა და ადმინისტრაციული პერსონალის რაოდენობა და დატვირთვა), 3 ფინანსურ რესურსებზე (დაწესებულების ფინანსური მდგრადობა და პროგრამის დაფინანსების შესაძლებლობები) და 4. პარტნიორი ორგანიზაციების (საგანმანათლებლო პროგრამის პრაქტიკული კომპონენტის განხორციელებისთვის საჭირო საწარმოო ბაზები/პრაქტიკის ობიექტები და მემორანდუმები) შესაძლებლობებზე დაყრდნობით.

დაწესებულებამ წარმოადგინა - „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა ფარმაცია (სააფთიაქო)კონტიგენტის განსაზღვრა“ დოკუმენტი, სადაც წარმოდგენილია პროგრამის კონტიგენტისთვის საჭირო რესურსები, რომელიც შესაბამისობაშია ზღვრული ოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგიასთან.

პროგრამის განხორციელებისათვის აკადემიას გააჩნია შესაბამისი მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, გაფორმებული აქვს თანამშრომლობის მემორანდუმი პრაქტიკის განმახორციელებელ ორგანიზაციასთან და ჰყავს შესაბამისი კვალიფიკაციის პროფესიული განათლების მასწავლებლები.

დასტურდება, რომ ინდიკატორის 2.1.1.3 მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

2.1.1.4.საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის მიერ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას;

პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას “ფარმაცია (სააფთიაქო)” დანართი #3 -ით განსაზღვრულია თითოეული მოდულის ფარგლებში საჭირო სასწავლო რესურსები, რომლებიც აუცილებელია პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისთვის.: სასწავლო მასალები, ლიტერატურა, ტექნიკური საშუალებები და მატერიალური ბაზა.

დაწესებულების მიერ უზრუნველყოფილი რესურსები სრულად შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამების მიზნებსა და მოდულების შინაარსს და ხელს უწყობს პროგრამით გათვალიწინებული სწავლის შედეგების მიღწევას.

დასტურდება, რომ ინდიკატორის 2.1.1.4 მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

2.1.1.5.საგანმანათლებლო პროგრამის არჩევითი მოდულები, მათი არსებობის შემთხვევაში, ლოგიკურ კავშირშია მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან ან/და პროფესიული სტუდენტის მომავალ საქმიანობასთან;

პროგრამა არ ითვალისწინებს არჩევით მოდულებს

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

2.1.1.6.საგანმანათლებლო პროგრამა დამტკიცებულია დაწესებულების უფლებამოსილი პირის/ორგანოს მიერ;

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა ,,ფარმაცია (სააფთიაქო)“ დამტკიცებულია რექტორის მიერ 21.05.2025 წლის N2/67 ბრძანებით. ასევე წარმოდგენილი წესდებით იკითხება, რომ აკადემიის რექტორი, როგორც უმაღლესი ადმინისტრაციული თანამდებობის პირი, უფლებამოსილია დაამტკიცოს საგანმანათლებლო პროგრამები და მათში შესატანი ცვლილებები

დასტურდება, რომ ინდიკატორის 2.1.1.6 მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

2.1.1.7.პროგრამის სახელწოდება შეესაბამება პროგრამის შინაარსს/პროგრამით გათვალისწინებულ მისაღწევ სწავლის შედეგებს და არ არის შეცდომაში შემყვანი;

პროგამის სახელწოდება „ფარმაცია” (სააფთიაქო) შეესაბამება პროგრამის შინაარსს/პროგრამით გათვალისწინებულ მისაღწევ სწავლის შედეგებს და არ არის შეცდომაში შემყვანი და სრულ შესაბამისობაშია პროგრამის შინაარსთან და სწავლის შედეგებთან. პროგრამის სახელწოდება წარმოადგენს სწავლების სფეროს იდენტიფიკატორს და ქმნის სწორ მოლოდინს სწავლის შედეგებთან და სამომავლო დასაქმებასთან დაკავშირებით.

დასტურდება, რომ ინდიკატორის 2.1.1.7 მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

2.1.1.8.პსდ-ს საგანმანათლებლო პროგრამა შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებასთან დაკავშირებულ, კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს.

პროგრამა „ფარმაცია“ (სააფთიაქო) შემუშავებულია ჩარჩო-დოკუმენტის საფუძველზე.- დამტკიცებულ პროგრამაში განსაზღვრულია პროგრამის სახელწოდება, როგორც ქართულ ასევე ინგლისურ ენაზე, სარეგისტრაციო ნომერი, მისანიჭებელი კვალიფიკაცია, პროგრამის მიზანი, პროგრამაზე დაშვების წინაპირობა, კურსდამთავრებულთა კარიერული შესაძლებლობები, სტრუქტურა და მოდულები, სწავლის შედეგები, სწავლებისა და სწავლის მეთოდები, სწავლის შედეგად მიღწევის დადასტურება და კრედიტის მინიჭება, კვალიფიკაციის მინიჭება, ინფორმაცია სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების (სსსმ) და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე (შშმ) სტუდენტების სწავლების შესახებ. პროგრამას თან ერთვის სასწავლო გეგმა(ქართულენოვანი და არაქართულენოვანი), მოდულები.

დასტურდება, რომ ინდიკატორის 2.1.1.8 მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

1. დოკუმენტი -„პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა ფარმაცია (სააფთიაქო)კონტიგენტის განსაზღვრა“
2. სტრატეგიული განვითარების შვიდწლიანი გეგმა - დამტკიცებული რექტორის 2022 წლის 1 აპრილის N2/49 ბრძანებით;
3. ერთწლიანი სამოქმედო გეგმა 2025-2026 - დანართი N2; დამტკიცებული რექტორის დამტკიცებული რექტორის 2025 წლის 03 აპრილის N2/24 ბრძანებით
4. საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, განხორციელებისა და შეფასების მეთოდოლოგია - დანართი N1დამტკიცებული რექტორის 31.01.2022 წლის N2/13 ბრძანებით; ცვლილება: რექტორის 07.11.2022 წლის N2/185 ბრძანება; ცვლილება: რექტორის 02.05.2024 წლის N2/52 ბრძანება; 2025 წლის 21 მაისის N2/63 ბრძანება;
5. პროგრამის მიზანშეწონილობის დასაბუთების ცხრილი
6. საგანმანათლებლო პროგრამის „ ფარმაცია” დამტკიცების აქტი - 21.05.2025 წლის რექტორის N2/67 ბრძანება
7. გასაუბრებები

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

შეფასება

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.2 საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების რესურსი.

2.2.1 პროგრამა უზრუნველყოფილია პროგრამის განსახორციელებლად საჭირო რესურსებით.

1. პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/ პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;
2. პროგრამისთვის განსზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას;
3. პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია;
4. საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს პსდ-ს მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი;
5. საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში;
6. სსსმ პირებს წვდომა აქვთ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად;

7. პსდ-ს ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა.

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

2.2.1.1. პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა სრულად უზრუნველყოფილია დაწესებულების/პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით.

დაწესებულებას წარმოდგენილი ჰქონდა 2025 წლის 22 მაისის რექტორის N2/71 ბრძანებით დამტკიცებული 2.2.1.1.სტანდარტთან შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა. ადგილზე დათვალიერებით და შესყიდვების დოკუმენტაციების მიხედვით, შესაბამისობის გეგმა სრულადაა შესრულებული. პროგრამისთვის განსაზღვრულია A, B, AC1 და AC2 გარემო, რომელიც სრულადაა აღჭურვილი პროგრამით გათვალისწინებული მატერიალური რესურსით, რაც უზრუნველყოფს პროფესიულ სტუდენტთა სწავლის შედეგების მიღწევას, მათი რაოდენობის გათვალისწინებით, კერძოდ:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

-

1. AC-1 -ქიმიურ-ბიოლოგიურ-ტექნოლოგიური ლაბორატორია: მაგიდა 30 პროფესიულ სტუდენტზე; პროფესიული სტუდენტის სკამი 30 ც; პროფესიული მასწავლებლის მაგიდა 1 ც + სკამი 1ც; კომპიუტერის კომპლექტი პროფესიული მასწავლებლის 1ც; დემონსტრირების საშუალება 1 ც; დაფა 1ც; პროგრამის სპეციფიკით გათვალისწინებული მატერიალური რესურსები, აღჭურვილობა;
2. სასწავლო გარემო AC -სასწავლო გარემო C 2 -ფარმაცევტული ლაბორატორია(სიმულაციური აფთიაქი): პროფესიული სტუდენტის მაგიდა 30 პროფესიულ სტუდენტზე; პროფესიული სტუდენტის სკამი 30 ც; პროფესიული მასწავლებლის მაგიდა 1 ც + სკამი 1ც; კომპიუტერის კომპლექტი პროფესიული მასწავლებლის 1ც; დემონსტრირების საშუალება 1 ც; დაფა 1ც; პროგრამის სპეციფიკით გათვალისწინებული მატერიალური რესურსები, აღჭურვილობა;
3. სასწავლო გარემო B (ზოგადი მოდულებისთვის): პროფესიული მასწავლებლის მაგიდა 1 ც + სკამი 1ც; კომპიუტერის კომპლექტი პროფესიული მასწავლებლის 1ც; სამუშაო ადგილი, კომპიუტერის კომპლექტი პროფესიული სტუდენტისათვის 30 ც; დემონსტრირების საშუალება 1 ც; დაფა 1ც; პრინტერი(კომბაინი) 1ც; ფლეშმეხსიერება 1ც.
4. სასწავლო გარემო A: პროფესიული სტუდენტის მაგიდა 30 პროფესიულ სტუდენტზე; პროფესიული სტუდენტის სკამი 30 ც; პროფესიული მასწავლებლის მაგიდა 1 ც + სკამი 1ც; კომპიუტერის კომპლექტი პროფესიული მასწავლებლის 1ც; დემონსტრირების საშუალება 1 ც; დაფა 1ც;

პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამის „ფარმაცია"(სააფთიაქო) პრაქტიკული ნაწილის განხორციელების მიზნით, აკადემიას გაფორმებული აქვს მემორანდუმი შპს პსპ-სთან (15 მაისი 2025წ; #5/75) 2031 წლის 1 იანვრამდე. მემორანდუმი ითვალიწინებს 150 პროფესიული სტუდენტის მიღებას ერთდროულად, საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში (2 წელი), კვირაში 5-6 დღე. პროფესიული/დარგობრივი მოდულების დასახელება (8 მოდული) და მოცულობა მოცემულია მემორანდუმის დანართი#1

დასტურდება, რომ ინდიკატორის 2.2.1.1 მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

2.2.1.2. პროგრამისთვის განსზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას.

პროგრამისთვის "ფარმაცია(სააფთიაქო)" განსაზღვრულია 29 განმახორციელებელი პირი, მათ შორის 11 პროფესიული განათლების მასწავლებელი განახორციელებს ზოგად, ხოლო 17 პროფესიულ მოდულს. მათი დატვირთვა არ სცდება შრომის კოდექსით გათვალისიწინებულ კვირეულ დატვირთვას. თითოეულ დარგობრივ მოდულზე განსაზღვრულია მინიმუმ ორი და მეტი პირი.

სასწავლო გეგმის და სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით, პროგრამისთვის განსაზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას. პროფესიული განათლების მასწავლებელთა საათობრივი დატვირთვა არ აღემატება კვირაში 40 საათს.

დასტურდება, რომ ინდიკატორის 2.2.1.2 მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

2.2.1.3. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებლებს აქვთ პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებაში ჩართული პროფესიული განათლების მასწავლებლები შერჩეულნი არიან პერსონალის მართვის პოლიტიკის მიერ დადგენილი წესით, საკვალიფიკაციო მოთხოვნების გათვალისწინებით. ყველა მათგანთან გაფორმებულია წინარე ხელშეკრულებები საქართველოს შრომის კოდექსის შესაბამისად.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ახალაყვანილ პროფესიული განათლების პედაგოგებს 2025 წლის ივნისს- მაისის თვეში ჩაუტარდათ ტრენინგი თემებზე: 1.„მასწავლებლის როლი საგანმანათლებლო პროცესშში“ და 2. „პროფესიულ სტუდენტთა შეფასების მეთოდები“

პროფესიული განათლების მასწავლებლებს აქვთ პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია, რაც დასტურდება პირადი საქმეების გადამოწმებით, ჩატარებული სწავლებებით, სერთიფიკატებით, დიპლომებით და გასაუბრებებით.

დასტურდება, რომ ინდიკატორის 2.2.1.3 მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

2.2.1.4. საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს დაწესებულების მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელად შერჩეულია პირი, რომელსაც გააჩნია შესაბამისი დარგობრივი, აკადემიური კომპეტენცია და წარმოადგენს დარგის მოქმედ სპეციალისტს.

პროგრამის ხელმძღვანელი აქტიურად იყო ჩართული მიმდინარე პროგრამის დაგეგმვის პროცესში. კოლეჯს წარმოდგენილი აქვს პროგრამის ხელმძღვანელთან წინარე ხელშეკრულება, შეთანხმება #3/206-1, 19.05.2025; რომლითაც განსაზღვრულია პროგრამის ხელმძღვანელის ფუნქცია მოვალეობები.

ექსპერტთა მიერ პროგრამის ხელმძღვანელთან გასაუბრების შედეგად დადგინდა, რომ აღნიშნულ პიროვნებას აქვს შესაბამისი მოტივაცია და დარგობრივი კომპეტენცია სათანადო დონეზე უხელმძღვანელოს პროფესიული პროგრამის განხორციელებას. პროგრამის ხელმძღვანელს სრულად აქვს გათავისებული მისი ფუნქცია-მოვალეობები.

დასტურდება რომ ინდიკატორის 2.2.1.4 მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

2.2.1.5. საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში.

ექსპერტებმა გადაამოწმეს ბიბლიოთეკაში პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისთვის საჭირო სასწავლო რესურსები და გაესაუბრნენ ბიბლიოთეკარს. დარგის ექსპერტის მიერ შერჩევითი პრინციპით გადამოწმდა რამოდენიმე სახელმძღვანელო, როგორც ბეჭდური, ასევე ელექტრონული. დადგინდა, რომ მოდულებით გათვალისწინებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია დაწესებულების ბიბლიოთეკაში როგორც მატერიალური სახით, ასევე ელექტრონული სახითაც.

დაწესებულებას დამტკიცებული აქვს „ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი“, რომლითაც განსაზღვრულია ბიბლიოთეკის ფუნქციონირების

ძირითადი პრინციპები. კოლეჯს შეძენილი აქვს ლიცენზირებული საკანონმდებლო მაცნეს მომსახურება. კოლეჯი ასევე იყენებს ofen biblio-ს, რაც საშუალებას აძლევს სტუდენტს ნებისმიერი ადგილიდან ისარგებლოს საბიბლიოთეკო ელექტრონული რესურსით.

დასტურდება რომ ინდიკატორის 2.2.1.5 მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

2.2.1.6. სსსმ პირებს საჭიროების შემთხვევაში ექნებათ წვდომა პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებული იქნება სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულებას დოკუმენტით „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი“ 32 მუხლი, განსაზღვრული აქვს სსსმ და (შშმ) პირების სასწავლო პროცესში ჩართვის წესი, მათთვის ინდივიდუალური სასწავლო გეგმების შემუშავების საფუძველი და პროცედურები. დაწესებულება უზრუნველყოფს სსსმ პირებისათვის ინიდიდუალურ საჭიროებებზე ორიენტირებულ მომსახურებას, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსების ხელმისაწვდომობას. თუ ცალკეულ შემთხვევებში საჭირო გახდება დამხმარე ტექნიკა ან პროგრამული უზრუნველყოფა, როგორიცაა, სპეციალური პროგრამა კითხვისათვის, უსინათლოებისა და მცირე მხედველთათვის. თუ აღნიშნული საჭიროებების მქონე პირი მომართავს დაწესებულებას სწავლების სურვილით, დაწესებულება უზრუნველყოფს შესაბამისი დამხმარე ტექნიკის შეძენას; ასევე საჭიროების შემთხვევაში დაწესებულება უზრუნველყოფს სასწავლო რესურსების ადაპტირებას, რაც გულისხმობს სასწავლო რესურსების შინაარსობრივ ან ვიზუალური ადაპტირებას. მაგ: შედარებით მსხვილი შრიფტით დაბეჭდილი ტექსტები ან შინაარსობრივად გამარტივებული ტექსტები, ასევე მოდულების მოდიფიკაციას, რაც ნიშნავს სწავლის შედეგების ცვლილებას. თუ სწავლის შედეგები შეიცვალა, მაშინ ამან შესაძლოა გამოიწვიოს სასწავლო რესურსების ცვლილებაც.
სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესებით ასევე განსაზღვრულია სსსმ და შშმ პირებისთვის სათანადო მხარდაჭერის ღონისძიებები, როგორიცაა: დაცვის სპეციალისტი უზრუნველყოფს პირის კონსულტაციას და დახმარებას, ასევე შეუფერხებელ გადაადგილებისა დაწესებულების მთელ ტერიტორიაზე, ადმინისტრაციის თანამშრომლი უზრუნველყოფს აღნიშნული პირების კომუნიკაცია–კონსულტაციას ყველა სტრუქტურულ ერთეულთან. საჭიროების შემთხვევაში ბიბლიოთეკარი უზრუნველყოფს მისთვის სასურველი ლიტერატურის სასწავლო აუდიტორიაში მიტანას.

დასტურდება, რომ ინდიკატორის 2.2.1.6 მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

2.2.1.7. ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა

დაწესებულებას „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესით“ განსაზღვრული აქვს ბიუჯეტის შედგენის წესები და პასუხისმგებელი პირები, თითოეული პროგრამისთვის დამოუკიდებლად, საპროგნოზო შემოსავლების და ხარჯების და რეალური კალკულაციის დასათვლელად.

დაწესებულებამ წარმოადგინა პროგრამის „ფარმაცია”(სააფთიაქო) საპროგნოზო ბიუჯეტი, რომელიც შედგება შემოსავლებისა და ხარჯების ნაწილისაგან, პროფესიულ სტუდენტთა იმ მინიმალური რაოდენობის გათვალისწინებით, რომლის შემთხვევაშიც შემოსავლები უზრუნველყოფენ პროგრამის განხორციელებასთან დაკავშირებული ხარჯების გაწევის შესაძლებლობას. ბიუჯეტით პროგრამის განხორციელების უზრუნველყოფა შესაძლებელია მინიმუმ 20 პროფესიული სტუდენტის შემთხვევაში.

შემოსავლები მოიცავს მხოლოდ ვაუჩერულ დაფინანსებას, ხოლო ხარჯვითი ნაწილი შედგება შემდეგი ხარჯებისაგან: ადმინისტრირების ხარჯი; პროფესიული განათლების მასწავლებლის ანაზღაურების ხარჯი; მასალა-ნედლეულის ხარჯი; პროფესიულ სტუდენტთა მხარდაჭერისა და არაფორმალური აქტივობების ხარჯები; პერსონალის განვითარების/წახალისების ხარჯები; მატერიალური რესურსების განახლების ხარჯები; სახიფათო ნარცენების გატანის, რეკლამისა და საიმიჯო ღონისძიებების ხარჯები; კომუნალური ხარჯები, და სხვა გაუთვალისწინებელი ხარჯი.

შემოსავალი სრულად უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელებასთან დაკავშირებული ხარჯების გაწევის შესაძლებლობას და სწავლების მიზნების მიღწევას

დასტურდება, რომ ინდიკატორის 2.2.1.7 მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- პროფესიული განათლების პედაგოგების პირადი საქმეები;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

- მემონდუმი გაფორმებული პსპ -თან 15 მაისი 2025წ; 5/75
- პროგრამის ხელმძღვანელთან გაფორმებული წინარე ხელშეკრულება, შეთანხმება #3/206-1, 19.05.2025;
- დანართი 2. ფორმა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისთვის საჭირო მატერიალური რესურსის შესახებ (გარდა მასალებისა და ნედლეულისა)
- სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი - დამტკიცებული რექტორის 31.01.2022 წლის N2/13 ბრძანებით; ბოლო ცვლილება: რექტორის ბრძანება N2/22 (13.03.2024)
- მატერიალური რესურსის ფორმა -დანართი 3
- ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი;
- წიგნების ელექტრონული კატალოგი
- დაწესებულების მიერ შევსებული ფორმა პროგრამის განხორციელებისთვის საჭირო ადამიანური რესურსის შესახებ- დანართი2;
- სასწავლო გეგმა;
- პროგრამის ბიუჯეტი;
- გასაუბრებები
- ვიზუალური დათვალიერება.

შეფასება:

☒შეესაბამება
☐მეტწილად შეესაბამება
☐ნაწილობრივ შეესაბამება
☐არ შეესაბამება

2.3 საგანმანათლებლო პროგრამების შეფასება და განვითარება

2.3.1 პროგრამის განვითარება უზრუნველყოფილია პროგრამების შეფასებისა და განვითარების პსდ-ში მოქმედი მექანიზმით.

1. პროგრამის შეფასების მექანიზმი ითვალისწინებს შრომის ბაზრის მოთხოვნებს, უკუკავშირს დაინტერესებული მხარეებისგან, საუკეთესო ადგილობრივ ან/და საერთაშორისო პრაქტიკას და სხვ.
2. პსდ აანალიზებს პროგრამის განხორციელების ხარისხის შეფასების შედეგებს და საჭიროების შემთხვევაში ახორციელებს ცვლილებებს საგანმანათლებლო პროგრამაში/მოდულებში მის მიერ განსაზღვრული წესებისა და პროცედურების შესაბამისად.

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

2.3.1.1. პროგრამის შეფასების მექანიზმი ითვალისწინებს შრომის ბაზრის მოთხოვნებს, უკუკავშირს დაინტერესებული მხარეებისგან, საუკეთესო ადგილობრივ ან/და საერთაშორისო პრაქტიკას და სხვ.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულებას შემუშავებული აქვს „ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები“ - დამტკიცებული აკადემიის რექტორის N2/13 ბრძანებით (31.01.2022), რომლითაც განსაზღვრულია კოლეჯის საქმიანობისა და რესურსების უწყვეტი შეფასება-განვითარების მექანიზმები. ხარისხის უზრუნველყოფის სისტემა ფუნქციონირებს „დაგეგმე, განახორციელე, შეაფასე, განავითარე“ ციკლის (PDCA) პრინციპით. დაწესებულებაში ფუნქციონირებს ხარისხის მართვის სამსახური, რომელიც ცენტრალიზებულად მართავს ყველა ფილიალს.

სასწავლო პროცესის ხარისხის უზრუნველოყოფის მექანიზმებით და საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, განხორციელებისა და შეფასების მეთოდოლოგიით, პროგრამების შეფასება ხორციელდება ყველა დაინტერესებული მხარის მონაწილეობით, როგორიცაა სტუდენტები, დამსაქმებლები, კურსდამთავრებულები, პარტნიორები. დაწესებულება დაინტერეებული მხარეების მხრიდან უკუკავშირის მისაღებად აქტიურად იყენებს გამოკითხვებს და სასწავლო პროცესზე დასწრებას.

დაწესებულებამ წარმოადგინა 2025 წელს ჩატარებული კვლევების ანგარიშები, რომლითაც განსაზღვრულია დაინტერესებული მხარეების მხრიდან პროგრამების შეფასების შედეგები და სათანადო რეკომენდაციები პროგრამების შემდგომი გაუმჯობესებისთვის. (სტუდენტთა, კურსდამთავრებულთა და პერსონალის კვლევის ანგარიში, სასწავლო პროცესზე დასწრების ანალიზის ანგარიში)

აღნიშნულის გარდა, აკადემიაში ხარისხის მართვის სისტემის პროცესების მართვა ხორციელდება ISO 90012015 -ის მოთხოვნებისა და შიდა ნორმატიული დოკუმენტების შესაბამისად და მისი შენარჩუნება ხდება ხარისხის მენეჯმენტის სისტემის შიდა აუდიტის ჩატარებითა და ხელმძღვანელობის მხრიდან არსებული მდგომარეობის გაანალიზებით ან/და ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მენეჯერის მიერ შესაბამისი პროცესების შეფასების შედეგებით.

დასტურდება რომ ინდიკატორის 2.3.1.1 მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

2.3.1.2 პსდ აანალიზებს პროგრამის განხორციელების ხარისხის შეფასების შედეგებს და საჭიროების შემთხვევაში ახორციელებს ცვლილებებს საგანმანათლებლო პროგრამაში/მოდულებში მის მიერ განსაზღვრული წესებისა და პროცედურების შესაბამისად.

დაწესებულებას შემუშავებული აქვს საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, განხორციელებისა და შეფასების მეთოდოლოგია, რომლითაც განსაზღვრულია პროგრამის შემუშავების, დამტკიცების, ცვლილებების ინიცირების, გაუქმების პროცედურები, ინფორმაციის გავრცელების წესები და პასუხისმგებელი პირები. პროგრამაში ცვლილებების შეტანაზე ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს გამოსცემს აკადემიის რექტორი.

დაწესებულება რეგულარულად, წელიწადში მინიმუმ ორჯერ ატარებს პროგრამების შეფასებას. შეფასებისას განიხილება: სტუდენტთა სასწავლო მიზნების მიღწევა და გამოწვევები; • სასწავლო პროცესის ეფექტიანობა და რესურსების საკმარისობა; ძლიერი და გაუმჯობესების საჭირო სფეროები; ახალი მიდგომებისა და მასალების საჭიროება; პროგრამის შესაბამისობა საგანმანათლებლო მიზნებთან და პროფესიულ განვითარებასთან.

შეფასების შედეგების საფუძველზე, საჭიროების შემთხვევაში, აკადემია იღებს გადაწყვეტილებებს პროგრამაში ცვლილებების შესატანად კოლეჯის შიდა რეგულაციების შესაბამისად.

დასტურდება რომ ინდიკატორის 2.3.1.2 მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

1. ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები - დამტკიცებულია რექტორის N2/13 ბრძანებით (31.01.2022);

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

-

2. 2025 წელს ჩატარებული კვლევების ანგარიში - სტუდენტთა, კურსდამთავრებულთა და პერსონალის კვლევის ანგარიში, სასწავლო პროცესზე დასწრების ანალიზის ანგარიში
3. საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, განხორციელებისა და შეფასების მეთოდოლოგია - დამტკიცებული აკადემიის რექტორის 31.01.2022 წლის N2/13 ბრძანებით ცვლილება: რექტორის 07.11.2022 წლის N2/185 ბრძანება ცვლილება: რექტორის 02.05.2024 წლის N2/52 ბრძანება
4. გასაუბრებები პროფესიული განათლების პედაგოგებთან და პროგრამის ხელმძღვანელთან
5. გასაუბრება ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსთან
6. გასაუბრება პარტნიორი კომპანიის პსპ-ს წარმომადგენელთან

შეფასება:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.4 სასწავლო პროცესის ორგანიზება და პროფესიულ სტუდენტთა შეფასება

2.4.1 სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სასწავლო მიზნების მიღწევას

1. პროგრამა ხორციელდება სასწავლო გეგმის/გეგმების შესაბამისად;
2. პსდ უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ორგანიზებას პროფესიულ სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებით და მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე;
3. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენებას;
4. პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისას გათვალისწინებულია პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებები;
5. პსდ-ს თანამშრომლობა პრაქტიკის კომპონენტის განმახორციელებელ პარტნიორთან/სასწავლო საწარმოსთან/თანაგანმახორციელებელ დაწესებულებასთან დასტურდება შესაბამისი ხელშეკრულებით/ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმით;
6. სასწავლო პროცესი მიმდინარეობს უსაფრთხო სასწავლო/სამუშაო გარემოში, პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

2.4.1.1. **პროგრამა ხორციელდება სასწავლო გეგმის/გეგმების შესაბამისად;**

დაწესებულებამ წარმოადგინა პროგრამის „ფარმაცია „ (სააფთიაქო) “ სასწავლო გეგმა დანართი #1. სასწავლო გეგმით უზრუნველყოფილია პროგრამის თანამიმდევრული განხორციელება, როგორც თეორიული ასევე პრაქტიკული მოდულებისთვის.

სასწავლო გეგმა შედგენილია პროგრამის კომპონენტებით განსაზღვრული წინაპირობების დაცვით. პროფესიული სტუდენტების კვირეული დატვირთვა არ აღემატება 40 საათს. (კვირაში საშუალოდ 24 სთ) პროფესიული სტუდენტების ყოველკვირეული დატვირთვაში გათვალიწინებულია საათები დამოუკიდებელი, საკონტაქტო სწავლებისა და შეფასებისთვის.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

-

დასტურდება, რომ ინდიკატორის 2.4.1.1 მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

2.4.1.2 **პსდ უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ორგანიზებას პროფესიულ სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებით და მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე;**

დოკუმენტის „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი“ ჩანაწერში იკითხება, რომ აკადემია უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ორგანიზებას პროფესიულ სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებით და მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე, ისე რომ, მოქნილობა არ ახანგრძლივებდეს სწავლების პერიოდს და არ იწვევდეს გაუთვალიწინებელ ხარჯებს სტუდენტის მხრიდან. დაწესებულებას განსაზღვრული აქვს ინდივიდუალური საგანმანათლებლო გეგმის შემუშავების მეთოდოლოგია კონკრეტული პირისთვის ან პირთა ჯგუფისთვის, სტუდენტის ინტერესების დაცვის გათვალისწინებით. სასწავლო პროცესის დაწყებამდე პროფესიულ სტუდენტებთან ტარდება საინფორმაციო და საორიენტაციო შეხვედრები, სადაც სტუდენტი იღებს სრულ ინფორმაციას პროგრამის შინაარსზე, სწავლის პირობებსა და შესაძლებლობებზე, მათ უფლებებსა და ვალდებულებებზე. კოლეჯი პროფესიული სტუდენტების ინტერესების გათვალისწინებით გეგმავს და ახორციელებს სასწავლო პროცესს.

საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, განხორციელებისა და შეფასების მეთოდოლოგიით განსაზღვრულია სტუდენტთა ჩართულობა და მათი უკუკავშირის საფუძველზე სასწავლო პროცესის და პროგრამის შემდგომი სრულყოფის მექანიზმები.

დასტურდება, რომ ინდიკატორის 2.4.1.2 მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

2.4.1.3 სასწავლო პროცესი ითვალისწინებს სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენებას;

პროგრამაში ჩართული პროფესიული მოდულების პედაგოგების ნაწილი დარგის მოქმედი სპეციალისტებია, რომლებიც კარგად იცნობენ დარგის შესაბამის უახლეს ტექნოლოგიებს და მოთხოვნებს. პროგრამის ხელმძღვანელი დასაქმებულია პსპ-ში და კარგად იცნობს შრომის ბაზრის მოთხოვნებს. პროგრამის ხელმძღვანელთან გასაუბრებით დადგინდა, რომ პროგრამის ხელმძღვანელი აქტიურად იქნება ჩართული სიახლეების, დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების დანერგვის პროცესში.

დასტურდება, რომ ინდიკატორის 2.4.1.3 მოთხოვნები შესრულებულია

2.4.1.4 პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისას გათვალისწინებულია პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებები;

„სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის“ 32-ე მუხლით განსაზღვრულია ინდივიდუალური საგანმანათლებლო გეგმის შემუშავების მეთოდოლოგია/პროცედურა. ამ დოკუმენტის შესაბამისად, ინდივიდუალური სასწავლო გეგის შემუშავების აუცილებლობა დგება, თუ: პროფესიულ სტუდენტს დადგენილი აქვს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროება, პროფესიული სტუდენტი ხანგრძლივი ავადმყოფობის ან სხვა ობიექტური მიზეზის გამო, დროებით საჭიროებს სპეციალური საგანმანათლებლო რეჟიმს/ინგ-ს, პროფესიული სტუდენტი სარგებლობს მობილობით, ფორმალური განათლების ნაწილობრივი აღიარების/დადასტურების შემთხვევაში ან სხვა შემთხვევები, როდესაც ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შედგენის საჭიროება დგება პროფესიული სტუდენტის ინტერესების დაცვის გათვალისწინებით, მისი ჩართულობით. „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესით“ განსაზღრულია სასწავლო პროცესში ინკლუზიური განათლების ინტეგრირებისა და ინკლუზიური სასწავლო გარემოს შექმნის მექანიზმები.

დასტურდება, რომ ინდიკატორის 2.4.1.4 მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

2.4.1.5 პსდ-ს თანამშრომლობა პრაქტიკის კომპონენტის განმახორციელებელ პარტნიორთან/სასწავლო საწარმოსთან/თანაგანმახორციელებელ დაწესებულებასთან დასტურდება შესაბამისი ხელშეკრულებით/ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმით;

პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამის „ფარმაცია"(სააფთიაქო) პრაქტიკული ნაწილის განხორციელების მიზნით, აკადემიას გაფორმებული აქვს მემორანდუმი შპს პსპ-სთან (15 მაისი 2025წ; #5/75) 2031 წლის 1 იანვრამდე. მემორანდუმით დარეგულირებულია: ხელშეკრულების საგნის შესახებ ინფორმაცია, მომსახურების პირობები, მხარეთა პასუხისმგებლობები და ვალდებულებები, მოდულების (8 პროფესიული მოდული) დასახელება, საათობრივი დატვირთვა, რომელიც განხორციელდება ბაზაზე, თანამშრომლობის ვადა, ორგანიზების საკითხები, კომპანიის გამტარუნარიანობა (150 პროფესიული სტუდენტის მიღება), მატერიალურ - ტექნიკურ ბაზის ხელმისაწვდომობა და უსაფრთხოება, ხელშეკრულებაში გაწერილია კოლეჯსა და პარტნიორს შორის კოორდინაციის საკითხები. ხელშეკრულებაში ცვლილებების და დამატებების შეტანა, ფორს-მაჟორი, ხელშეკრულების ძალაში შესვლა და მისი გაუქმება, შეთანხმება პერსონალური მონაცემების დამუშავების შესახებ.

ხელშეკრულებები გაფორმებულია საქართველოს მთავრობის დადგენილება №416 თანახმად. მათ ახლავს დანართი საგანმანათლებლო პროგრამის მოდულების პრაქტიკული კომპონენტის განხორციელების შესახებ და საგანმანათლებლო პროგრამის ფარმაცია(სააფთიაქო)" პრაქტიკული კომპონენტის განხორციელების პროცესში საჭირო რესურსების ჩამონათვალი.

„შუალედური შეფასების, საკვალიფიკაციო გამოცდის ჩატარების და პარტნიორ ორგანიზაციებთან ურთიერთობის წესით" - განსაზღვრულია პრაქტიკის ობიექტის შერჩევის კრიტერიუმები, კრიტერიუმის მონიტორინგი და გაფორმებული ხელშეკრულების აუცილებელი რეკვიზიტები. აღნიშნული წესები დაცულია პარტნიორთან გაფორმებულ ხელშეკრულებაში.

დასტურდება, რომ ინდიკატორის 2.4.1.5 მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

2.4.1.6 სასწავლო პროცესი მიმდინარეობს უსაფრთხო სასწავლო/სამუშაო გარემოში, პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით.

დაწესებულებას დამტკიცებული აქვს: 1. ქიმიურ ლაბორატორიაში მუშაობის წესი -დანართი#1; 2. პირველადი დახმარება ქიმიურ ლაბორატორიაში- დანართი 2; 3. სასწავლო პროცესის ფარგლებში წარმოშობილი ქიმიური ლაბორატორიული ნარჩენების მართვა - დანართი 3; რექტორის ბრძანება N2/51 30.04.2024 . აღნიშნული წესებით განსაზღვრულია უსაფრთხოების ის ნორმები, რომელიც სავალდებულოდ უნდა დაიცვან სასწავლო პროცესში ჩართულმა პირებმა. წესები გამოკრულია სასწავლო ლაბორატორიაში თვალსაჩინო ადგილას.

მოდულების პრაქტიკული კომპონენტების განხორციელებისას, რომელთა შესრულება პარტნიორ ორგანიზაციაში ხდება, უზრუნველყოფილია მემორანდუმებით, რომლითაც პარტნიორი ვალდებულია შექმნას უსაფრთხო გარემო პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის მიზნობრივი შედეგების მიღწევისთვის.

პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით, სასწავლო პროცესის უსაფრთხო სასწავლო/სამუშაო გარემოში მიმდინარეობის უზრუნველსაყოფად, დაწესებულებას გაფორმებული აქვს ხელშეკრულება შპს,, სანიტარი"რომელიც უზრუნველყოფს - სახიფათო და არასახიფათო ნარჩენების გატანას.

დაწესებულებას აქვს ,,ფარმაცია (სააფთიაქო) პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე დაწესებულებაში განხორციელებული პრაქტიკული კომპონენტის ფარგლებში შრომის უსაფრთხო გარემოს უზრუნველყოფის წესის გაცნობის/ინსტრუქტაჟის ჟურნალი.

დასტურდება, რომ ინდიკატორის 2.4.1.6 მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით

1. პროგრამა „ ფარმაცია" სასწავლო გეგმა; დანართი #1
2. მემორანდუმი - პსპ ფარმა 2025/04 15 მაისი 2025წ
3. ქიმიურ ლაბორატორიაში მუშაობის წესი -დანართი#1; პირველადი დახმარება ქიმიურ ლაბორატორიაში-დანართი 2; სასწავლო პროცესის ფარგლებში წარმოშობილი ქიმიური ლაბორატორიული ნარჩენების მართვა - დანართი#3; რექტორის ბრძანება N2/51 30.04.2024
4. ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები - ბიზნესისა და ტექნოლოგიების აკადემიის რექტორის N2/13 ბრძანებით (31.01.2022); ცვლილება შესულია: რექტორის N2/139 (08.09.2023; რექტორის N2/13 ბრძანებით (31.01.2022); ცვლილება შესულია: რექტორის N2/139 (08.09.2023)
5. ხელშეკრულება ნარჩენების გადამუშავება-უტილიზაცია - შპს,, სანიტარი"; BTA150324; 15 მარტი 2024;
6. შუალედური შეფასების, საკვალიფიკაციო გამოცდის ჩატარების და პარტნიორ ორგანიზაციებთან ურთიერთობის წესი - დამტკიცებულია შპს ბიზნესისა და ტექნოლოგიების აკადემიის რექტორის N2/192 ბრძანებით (07.11.2022); ცვლილება: ბრძ.N2/15 (09.02.2023);ცვლილება: ბრძ.N2/91 (07.06.2023)
7. გასაუბრებები

2.4.2 შეფასების სისტემა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების დადასტურებას

1. პროგრამის მიზნებისთვის გამოყენებული შეფასების სისტემა არის ვალიდური, სანდო, გამჭვირვალე, სამართლიანი, ობიექტური;
2. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემა ითვალისწინებს ვერიფიკაციის მექანიზმს;
3. პსდ უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას შეფასების უწყისის გაფორმებიდან 3 წლის ვადით;
4. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების შედეგები გამოყენებულია მათი შემდგომი განვითარებისათვის.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

2.4.2.1 პროგრამის მიზნებისთვის გამოყენებული შეფასების სისტემა არის ვალიდური, სანდო, გამჭვირვალე, სამართლიანი, ობიექტური;

შპს ბიზნესისა და ტექნოლოგიების აკადემიის რექტორის 31.01.2022 წლის N2/13 ბრძანებით დაწესებულებაში მოქმედებს „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი", რომლითაც განსაზღვრულია ისეთი საკითხები, როგორიცაა:

- შეფასების ინსტრუმენტების შერჩევის და შემუშავების პროცედურები
- შეფასების ინსტრუმენტის სტრუქტურა
- შერჩევის ინსტრუმენტების, მტკიცებულებების მიმართ მოთხოვნები
- შეფასების ინსტრუმენტების შიდა მონიტორინგის მექანიზმები

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

- შეფასების ადმინისტრირება
- პროფესიულ სტუდენტთა ინფორმირების მექანიზმები შეფასების შედეგებზე
- შეფასების აპელაციის წესი
- განმეორებითი შეფასების წესი და პროცედურა
- შეფასების მტკიცებულებების მოპოვების და შენახვის წესი: შეფასების ჩატარების, გასწორების და საბოლოო შეფასების ვადები, რამდენჯერ შეუძლია განმეორებით შეფასებაზე გასვლა, შეფასების ინსტრუმენტი

დაწესებულებაში მოქმედებს კომპეტენციებზე დაფუძნებული შეფასების სისტემა, რაც გულისხმობს შეფასების მიმართ შემდეგი მთავარი მოთხოვნის დაკმაყოფილებას, როგორიცაა: სანდოობა, ვალიდურობა, გამჭვირვალეობა, სამართლიანობა და ობიექტურობა. .ამისათვის კოლეჯი ახორციელებს საგანმანათლებლო პროცესში ჩართული პირების სისტემატიურ გადამზადებას, შეფასების ინსტრუმენტების განვითარებას, ვალიდაციას, გეგმიურ ვერიფიკაციის პროცესის უზრუნველყოფას. პროგრამებში გამოიყენება განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასება.

დასტურდება, რომ ინდიკატორის 2.4.2.1 მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

2.4.2.2 პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემა ითვალისწინებს ვერიფიკაციის მექანიზმს;

დაწესებულებაში მოქმედებს შეფასების სისტემის შიდა ვერიფიკაციის სისტემა. „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი“(რექტორის 31.01.2022 წლის N2/13 ბრძანება) მუხლი 47- განსაზღვრულია ვერიფიკაციის მექანიზმები. ვერიფიკაცია ხარისხის უზრუნველყოფის შიდა სისტემის ნაწილია რომლითაც უზრუნველყოფილია დაწესებულებაში გამოყენებული შეფასების სისტემის სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებთან შესაბამისობა.

ვერიფიკაციის პროცესზე ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურია პასუხისმგებელი, თუმცა პროცესში შესაძლებელია სხვა პირები იყვნენ ჩართულნი (განათლების/დარგის ექსპერტები, სოციოლოგი, და სხვა ინტერესთა კონფლიქტის გათვალისწინებით. ვერიფიკაციის მექანიზმით დარეგულირებულია ისეთი საკითხები, როგორიცაა: პასუხისმგებელი პირები - ვერიფიკაციის ჯგუფის და მისი ხელმძღვანელის განსაზღვრა, განმახორციელებელი, შერჩევის პრინციპები, პროცესის აღწერა, დასკვნა და მისი განხილვა, სამოქმედო გეგმა, ანგარიშგება.

ვერიფიკაცია სამი მიმართულებით ხორციელდება: შეფასების გამოყენებული ინსტრუმენტის ვერიფიკაცია; შეფასების პროცესის და შექმნილი მტკიცებულებების ვერიფიკაციას. ინსტრუმენტის და მტკიცებულების ვერიფიკაცია შერჩევითი პროცესია. რისკების ანალიზს აკეთებს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის თანამშრომელი, რომელიც ანალიზის შედეგების საფუძველზე ახორციელებს ინსტრუმენტების და მტკიცებულებების იდენტიფიცირებას, სადაც შესაძლო შეუსაბამობების მაღალი ალბათობა-შერჩევითი პრინციპით.

ვერიფიკატორი უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამისი მოდულის და შეფასების ინსტრუმენტების შესაბამისობის დადგენას. შეფასების ინსტრუმენტი უნდა იყო ვალიდური, რელევანტური, ტექნიკური თვალსაზრისით გამართულად, გასაგები ენით დაწერილი და უზრუნველყოფდეს მოდულით გათვალისწინებული ყველა სწავლის შედეგის დადასტურებას. შეფასების პროცესის ვერიფიკაციის დროს მოწმდება არის თუ არა დაცული შეფასების პროცედურები, არის თუ არა ის თანმიმდევრული, გამჭვირვალე და ობიექტური.

დასტურდება, რომ ინდიკატორის 2.4.2.2 მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

2.4.2.3 პსდ უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას შეფასების უწყისის გაფორმებიდან 3 წლის ვადით;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის“ 41-ე მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, შეფასების მტკიცებულებები ინახება უწყისის გაფორმებიდან 3 წლის ვადით სასწავლო პროცესის მართვაზე პასუხისმგებელ პირებთან, პროგრამების მიხედვით ინდივიდუალურ საქაღალდეებში, ან ელექტრონულად, რაც უზრუნველყოფს მათ სისტემატიზაციას და მიკვლევადობას დაინტერესებული პირებისათვის (მათ შორის შიდა და გარე ვერიფიკატორებისათვის) საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისას შექმნილი ელექტრონული პროდუქტი (თუ ეს დაკავშირებულია შედეგის დადასტურებასთან, ანუ წარმოადგენს მტკიცებულებას), იწერება ინფორმაციის ციფრულ მატარებელზე. სასწავლო პროცესში შექმნილი პროდუქტის/პროექტის შენახვისას შესაძლებელი უნდა იყოს მისი ავტორ(ებ)ის/შემქნელ(ებ)ის იდენტიფიკაცია.

შეფასების უწყისები აღირიცხება ელექტრონულ ჟურნალში, უწყისები პროფესიული პროფესიულ სტუდენტისათვის კვალიფიკაციის მინიჭებამდე ინახება რექტორის მოადგილესთან სასწავლო დარგში/სასწავლო პროცესის სპეციალისტთან შესაბამის საქაღალდეში, ხოლო კვალიფიკაციის მინიჭების შემდეგ უწყისების აღრიცხვის ფურცელთან (მატერიალური ფორმა) ერთად გადაეცემა კანცელარიას და ინახება უვადოდ.

პრაქტიკის ობიექტზე სწავლის შედეგების მიღწევის მტკიცებულებას წარმოადგენს ჩანაწერების ჟურნალში ინსტრუქტორის მიერ დადასტურება ან არდადასტურება. სრულფასოვნად შევსებული ჟურნალი ასევე წარმოადგენს პრაქტიკის ობიექტზე შუალედურ და საბოლოო საკვალიფიკაციო გამოცდაზე დაშვების წინაპირობას. პროფესიული სტუდენტის შეფასების მტკიცებულებები (ნაშრომები, პრეზენტაციები და სხვა) წარმოადგენს ინტელექტუალურ საკუთრებას, რომლის დამუშავება /გამოყენება ხორციელდება მხოლოდ საგანმანათლებლო მიზნებისათვის.

დასტურდება, რომ ინდიკატორის 2.4.2.3 მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

2.4.2.4 . პროფესიულ სტუდენტთა შეფასების შედეგები გამოყენებულია მათი შემდგომი განვითარებისათვის.

დაწესებულებაში მოქმედებს „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი“, რომლის მიხედვითაც დაწესებულება ახორციელებს პროფესიულ სტუდენტთა შედეგების შეფასების მონიტორინგს, პროფესიულ სტუდენტები იღებენ უკუკავშირს მათ მიერ შესრულებულ სამუშაოსთან დაკავშირებით. უკუკავშირის დროს დაცულია პერსონალური მონაცემები და კონფიდენციალურობა. დაუშვებელია ჯგუფში კონკრეტული პროფესიულ სტუდენტის იდენტიფიცირების პირობებში მისი შეფასების გასაჯაროვება, თუ ამაზე პროფესიულ სტუდენტს არ აქვს გამოხატული თანხმობა (სიტყვიერად ან წერილობით). შედეგები ასეთ შემთხვევაში განზოგადოებულად განიხილება და კონკრეტულ პროფესიულ სტუდენტს შედეგები მასთან ინდივიდუალურ შეხვედრაზე განიხილება.

პროფესიულ სტუდენტთა შეფასების შედეგები (როგორც განმსაზღვრელი ასევე განმავითარებელი) შესაძლოა გამოყენებულ იქნას საგანმანათლებლო პროგრამების განვითარების კუთხითაც. ამ შედეგებზე დაყრდნობით შეიძლება შეიცვალოს მოდულების რიგითობა, სწავლების მეთოდები, შეფასების ინსტრუმენტი ან საგანმანათლებლო რესურსები და სხვა.

დასტურდება, რომ ინდიკატორის 2.4.2.4 მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით

1. სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი -დამტკიცებულია შპს ბიზნესისა და ტექნოლოგიების აკადემიის რექტორის 31.01.2022 წლის N2/13 ბრძანებით; ბოლო ცვლილება :რექტორის ბრძანება N2/22 (13.03.2024)

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

2. ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები დამტრკიცებული რექტორის ბრძანებით 2/13; 31.02.2022;
3. კურსდამთავრებულთა კვლევა -2025
4. პერსონალის გამოკითხვის ანალიზი -2025
5. სასწავლო პროცესზე დასწრების ანალიზი -2025
6. ვერიფიკაციის გეგმა-გრაფიკი და ანგარიშები - 2024-2025 წ
7. გასაუბრებები

შეფასება:

- *გთხოვთ, შესაბამისი გრაფის მონიშვნით, გამოხატოთ საკუთარი პოზიცია დაწესებულების სტანდარტის მოცემულ კომპონენტთან მიმართებით შესაბამისობის შესახებ.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

ნაწილი V. თანდართული დოკუმენტაცია

დანართი 1. ვიზიტის დღის წესრიგი

.....
.....
.....
.....

31.07.2025
.....
თარიღი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

-